სანოტარო აქტი

ორიათას თორმეტი წლის ოცდაექვს ოქტომბერს მე, ნოტარიუს **ნანა ბაკურაძეს** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76-ში, მომმართეს შპს **„მოყვასი 2012“-ის დირექტორებმა თედო სვანიძემ და ვასილ სოხაძემ (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომლის განაცხადის რეგისტრაციის ნომერია: B12013230, საიდენტიფიკაციო კოდი – 404927656 ამონაწერის მომზადების თარიღი 30/01/2012წ.),** რომლებმაც მოითხოვეს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მათი პირადობები მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **თედო სვანიძემ** (დაბადებული 17.01.1952წ. ოზურგეთში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, ხუდადოვის ქუჩა №5, პ/მ №ა 1171608, პირადი №65002004131 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურის მიერ 02.05.2008წ) და **ვასილ სოხაძემ** (დაბადებული 21.03.1969წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I-ლი ჩიხი №22, პ/მ №გ 0145927, პირადი №01026001372 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ 05.03.1997წ.) მომმართეს. მე შევამოწმე **თედო სვანიძის** და **ვასილ სოხაძის** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ **თედო სვანიძემ** და ვასილ სოხაძემ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავიანთი ხელმოწერები წინამდებარე მინდობილობაზე.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ჩვენ, **შპს „მოყვასი 2012“-ის დირექტორები თედო სვანიძე** (დაბადებული 17.01.1952წ. ოზურგეთში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, ხუდადოვის ქუჩა №5, პ/მ №ა 1171608, პირადი №65002004131 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურის მიერ 02.05.2008წ) და **ვასილ სოხაძე** (დაბადებული 21.03.1969წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I-ლი ჩიხი №22, პ/მ №გ 0145927, პირადი №01026001372 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ 05.03.1997წ.) ვენდობით **გიორგი ხმალაძეს** (დაბ. 15.04.1982წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, კ. მაყაშვილის ქუჩა №1/10, პ/მ №1437779, პირადი №35001018932, გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ძველი თბილისის სამსახურის მიერ 21.06.2011წ.) იყოს **შპს „მოყვასი 2012“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი – 404927656)** წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ქ. თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურებში, საჯარო რეესტრში, გამგეობაში, **შპს „მოყვასი 2012“-ის** სახელით შეკრიბოს ყველა საჭირო დოკუმენტი, შეიტანოს განცხადებები, მიიღოს ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი №29-31-33-ში მდებარე უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვა და პროექტი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს რაც ამ დავალების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2013 წლის ოცდაექვსი ოქტომბრის ჩათვლით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 20 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 3 ლარი და 60 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 25 ლარი და 60 თეთრი.

შპს „მოყვასი 2012“-ის დირექტორები

თედო სვანიძე ---------- თედო სვანიძე

ვასილ სოხაძე ---------- ვასილ სოხაძე

ნოტარიუსი ---------- ნანა ბაკურაძე

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციის ნომერი

41740146820812

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N121168270

რეგისტრაციის თარიღი

26.10.2012 წ

ნოტარიუსი: წანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18